ხუთშაბათი, 18 მარტი 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-დამერვე 1904 ხუთშაბათი, 18 მარტი 1904 წ.

**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 70 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 70

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

## ლალაში

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,
თარგმანი გრ. ყიფშიძისა
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.
**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის" ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი ეეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

**ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად სასცენოურო წესდების 1864 მუხლის ძალით აკრძალულია.**

როინაშვილისეული ფოტოგრაფია,

1903 წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

## ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი).

## იჯარით აქვს

და სრულიად ახლად მოეწყო იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათს, მიეცემა მუქთად აკვარელით (ფერადებით) საუცხოვოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასასყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცემლიძე.**



## ცირკი ძმ. ნიკიტინებისა

დღეს, 18 მარტს,
გაიმართება ორი საინტერესო

## ჭიდაობა

იჭიდავებენ: ცნობილი კავკასიელი მოჭიდავე **ცერაძე** და ახლად მოსული ბერძენი მოჭიდავე **მიხეილ ადამოვი**, წამქცევი ცნობილის მოჭიდავის **ალტალიხისა**. მეორე კავკასიური ჭიდაობა: ცნობილი კავკასიელი მოჭიდავე **ჯიბგირი** იჭიდავებს ცნობილ მოჭიდავე **ლომიძესთან**. ჯილდოდ წამქცევს მიეცემა ვერცხლის საათი. ჭიდაობა გაიმართება მეორე განყოფილების ბოლოში. დასასრულ გაიმართება პირველად ტფილისში პანტომიმა **«ზანზის ქორწილი»**. დაწვრილებითი ცნობები პროგრამებშია.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ. (1—63—1).

## რედაქციისაგან

გაზ. «ივერიის» დილის ახალი დეპეშები დაიბეჭდება გასასყიდად მხოლოდ იმ დღეს, როდესაც **საყურადღებო ამბები** მოვა შორეულ აღმოსავლეთიდან.

საჭიროა დეპეშების გამყიდავები.

მსურველთ მიჰმართონ ექვთიმე ხელაძის სტამბას (იარმუკა, სომხ. სემ. სახლები).

ვისაც სურს პროვინციაში დეპეშების გაყიდვა იკისროს, მიჰმართოს «ივერიის» რედაქციას და შეატყობინოს, რამდენი ცალი ეგზავნოთ მხოლოდ ოც ცალზე ნაკლები-კი არ შეიძლება.

ტელეფონი № 617.

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 18 მარტს 1904 წ.,

**უკანასკნელი წარმოდგენა**

ქართველ მსახიობთა ამხანაგ. მიერ წარმოდგენილი იქნება,

I

## ცხოვრების გარეშე

თანამედროვე სურ. 4 მოქ. პროტოპოპოვისა, თარგმ. შველიძის მიერ.

II

მეოთხე მოქ. თ. გ. ერისთ. კომედიიდან

## დავა

**მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი**

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად სააღდგომოებისათვის „საქმის კაცი", «სხვის ნათხარზე».

ამხ. გამგე **ვალ. გუნია.**

ტფილისის სახ. [illegible]

**რუსული ოპერა**

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

**ხუთშაბათს, 18 მარტს 1904 წელს,**

არტისტის ო. ი. კამიონსკის საბენეფისოდ, მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა და გ. ბ. მაკაროვის მონაწილეობით,

წარმოდგენილი იქნება

## ევგენი ონეგინი

ოპერა 3 მოქმ. და 7 სურ., მუსიკა ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: რენერადინა, კარრი, ჩიჟოვა, ლელინა; ბ-ნნი: ფიგნერი, ილიუშჩენკო, კამიონსკი, მაკაროვი, გავრილოვი, უსიკინი.

რეჟისორი ა. დ. ბელსკი

კაპელმეისტერი ე. ღ. ესპოზიტო

დასაწყისი საღამოს 8 საათ.

**ანონსი:** პარასკევს, 19 მარტს, უკანასკნელი და გამოსათხოვარი წარმოდგენა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერის საბენეფისოდ.

წარმოდგენილი იქნება

## კარმენი

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა ბიზესი.

ბილეთები იყიდება.

**სამეურნეო ბანკის**

წევრთა წლიური კრება დანიშნულია კვირას, 21 მარტს, დილის თერთმეტ საათზე, ბანკისავე დარბაზში.

კრებას განსახილველი აქვს შემდეგი საგნები:

1) წლიურის ანგარიშის შესახებ საბჭოს მოხსენება.

2) სარევიზიო კომისიის მოხსენება.

3) წლიური ანგარიში.

4) მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

5) კომისიის მოხსენება სამეურნეო ნაწარმოების დაგირავების შესახებ.

6) გამგეობის წევრის არჩევანი, თ. ვლ. სვ. მიქელაძის მაგიერ, რომელსაც ვადა გაუთავდა. არჩევანი საბჭოს ორის წევრისა ი. გ. თულაშვილისა და ი. ვ. საგინაშვილის მაგიერ, რომელთაც აგრეთვე ვადა გაუთავდათ, და სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და სამის კანდიდატისა. (3—1).

**გამოვიდა და ისყიდება**

მორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა».

ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

## ჭიათურის ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მორიგი საზოგადო კრება ბანკის წევრებისა მოხდება დაბა ჭიათურაში, თეატრის დარბაზში, 24 მარტს 1904 წ., დილის 10 საათზედ.

კრების განსახილველი საგნებია:

1) განხილვა და დამტკიცება 1903 წლის ანგარიშისა; 2) განხილვა და დამტკიცება საზოგადოების მომავალ 1904 ხარჯთ-აღრიცხვისა; 3) წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლა; 4) სახლის მოპოვება საზოგადოებისათვის; 5) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა, ნაცვლად თ-დ ივ. აბაშიძისა, რომელსაც სამსახურის ვადა გაუვიდა; 6) არჩევნები საბჭოს სამის წევრისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა. (3—6—3)

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში

**ჩემი თავგადასავალი.**

აკაკისა

ფასი 1 მანათი.

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ**,—ეორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მიღოვისა, № 5

**გაბაშვილი გრიგოლ**,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა**, ელისაბედის ქუჩა, № 41.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა

**მ. გ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაგანასოვი.** დილის 1'—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—საშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

**გ. ს.ე ლში.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. ა-ვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памяти. Воронцова.

(წ.)

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ვლიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მუღინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. და ბავშ 10—11 ს.

**ა. დ. ლამბაშიძე.** შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**გრ. ვ. სოგოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

**საღამოთი**

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

## ომის ამბები

### დეპეშები და წერილები.

იაპონელების ომის გეგმა.—ვერეშჩაგინის აზრი.—მარკიზ იტოს მისსია.—„სტერეგუშჩის" მეზღვაურების გმირობა.—წვრილი ამბავი.

«ტაიმსში» დაბეჭდილია წერილი ერთ ინგლისელ აფიცრისა, რომელსაც მანჯურია კარგადა ჰქონია შესწავლილი. წერილი შეეხება იაპონელთა ომის გეგმას. არც პორტ-არტურისა და არც ვლადივოსტოკის აღებას იაპონელები ჯერ არა ჰფიქრობენო. იმათი უმთავრესი ყურადღება ნიუ-ჩუანზეა მიპყრობილი. უმეტესი ჯარი ამ დღეებში იქითკენ გაიგზავნება. ჩინეთ-იაპონიის ომის შემდეგ, იაპონელებს სამხრეთ-მანჯურია მთელ წელიწადს ეჭირათ და სცდილობდნენ ხალხის გული მოეგოთ, რადგან იცოდნენ, რომ მომავალში ეს გულკეთილობა და თავაზიანობა გამოადგებოდათ. იაპონელებს კარგადა აქვთ შესწავლილი ის ადგილები, სადაც ქვეითა ჯარმა უნდა იმოქმედოს. მდინარე ლიაოხეს ბოლო ნაღმით არ გამაგრდება, რადგან გაზაფხულზე მდინარე ჩქარია და ყინული მოაქვს. გემები მდინარის ბოლოში მხოლოდ იმ დროს შედიან, როდესაც ზღვის ტალღა იქითკენ მიიქცევა. ჯარის გადაყვანის დროს ფლოტი ჩაუსაფრდება და რუსებს ახლო არ მიუშვებს. ქალაქში იაპონელთა ჯარი საკმაო სურსათს იპოვის. გენერალი კონდრატოვიჩი ნიჭიერი სარდალია, მაგრამ ბუნება მისი წინააღმდეგია და ნიუ-ჩუანი იაპონელების ხელთ გადავაო. ნიუ-ჩუანიდგან იაპონელები ხაიჩენს გაემართებიან, რკინის გზას აჰშლიან და პორტ-არტურს გაიცალკევებენო... ომი დიდხანს გაგრძელდება. თუ იაპონელებს ბედმა უმტყუვნა, შეუძლიანთ კორეასკენ დაიწიონ და მთებში მოიმაგრონ ფეხი; მაგრამ იქ ხალხის სიძულვილი დახვდებათ, რადგან კორეელებს 600 წელიწადია, რაც იაპონელები მოსისხლე მტრად მიაჩნიათ. («ნ. ვ.»).

—

ნავასაკიდგან ატყობინებენ «დ. ექს.»-ს: იაპონიის სამხედრო სამინისტრომ დაწვრილებით შეიმუშავა გეგმა, თუ როგორ უნდა შეესიოს იაპონელთა ჯარი მანჯურიას. ერთი რაზმი გაემართება ხარბინისაკენ მდინარე თუმენიდგან, პოსიეტის ყურეს სამხრეთით, და იმავე დროს მდინარე იალუდგანაც მეორე რაზმი ხარბინისკენვე გაილაშქრებს. მოწინავე რაზმი დაიჭერს სიმაგრეებს ანჯოუსა და მიოკინსონს შუა.

კორეის მთავრობა იაპონელებს დახმარებას უწევს სურსათისა და საქონლის ყიდვაში. იაპონიის ჯარს თოფ-იარაღი საკმაოდ აქვს. («რ. ვ.»).

—

ადმირალი ტოგო თავისს მოხსენებაში, შესახებ 22 მარტის (9 მარტის ძვ. სტ.) ომისა ამბობს, ჩვენს გემებს პორტ-არტურიდგან ყუმბარები დაუშინეს, მაგრამ ვერა ავნესრაო. (იქვე).

---

ცნობილი მხატვარი ა. ა. ვერეშჩაგინი, რომელსაც იაპონიაში უმოგზაურნია და თავისს შთაბეჭდილებას გაზეთ «პეტ. ვედ.» მკითხველებს უზიარებს, ამბობს, ჩვენის მოწინააღმდეგის ძალ-ღონეს აბუჩად ნუ ავიღებთ; შესაძლოა, ჩვენ ნამდვილი გარემოება არ ვიცოდეთ და ვსტყუვდებოდეთო.

როგორც გაზეთებიდგანა სჩანს, იაპონელები ჯერ-ჯერობით თავის მოქმედებას არ აქვეყნებენ, კორესპონდენტებს არ ატყობინებენ და ყოველსავე საიდუმლოდ აკეთებენო. ვინ იცის, იქნება იმათ ის განზრახვა აქვთ, რომ ახალი რამ სახსოვარი გვიძღვნან და კვალად გაგვაოცონო. აი, მთელი თვეა, იაპონელებს თავისი ჯარი კორეაში გადაჰყავთ. ჩვენი ფლოტი ხელს ვერ უშლის. კუნძულებიდგან გემები ასობით გამოდიან და ჯარი მიჰყავთ კორეისაკენ. და ასე, როგორც ეტყობა, კიდევ დიდხანს გაგრძელდება ჯარის გადაყვანა. მაშ რა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ საკმაო ძალ-ღონეს ვერ მოიკრებენ? რა დაუშლის, რა შეაფერხებს? კაბინეტურ გამოანგარიშებას, რამდენი ჯარი ჰყავს იაპონიას მშვიდობიანობისა თუ ომის დროს,—არ უნდა დავემყაროთ. ამ ჟამად, როდესაც მთელი იაპონია ფეხზე სდგას, როგორც ერთი კაცი, და ომის წყურვილი აშლია, ძნელი სათქმელია, რამდენი კაცი ამოსდგომია საერო დროშას. თოფ-იარაღი არ შემოაკლდებათ, რადგან ერთგულნი მოკავშირენი თავის დროს იზრუნავდნენ და ხელს შეუწყობდნენ. და რომ ჯარის კა-

ცები საკმაოდ ეყოლება—ამის თავმდები თვით 50 მილიონი თოფიანი ერია. იაპონელები ბურებზე ნაკლები მამაცნი არ არიან. თუ რომ იმათ 300 ათას კაცზე, დიდ-პატარა რომ ვიანგარიშოთ, 30 ათასი ჯარის კაცი გამოიყვანეს და ინგლისი აიძულეს 250 ათასი ჯარის კაცი გადაეყვანა, რატომ ჩვენც არ უნდა ვიფიქროთ, რომ იაპონია ჩვენს წინააღმდეგ 600—700 ათას კაცს გამოიყვანს?

შესაძლოა, ეს არ მოხდეს, მაგრამ მტრის დამცირებით ჩვენ ვერას გავაწყობთ; სჯობს, ჩვენც დიდს ჯარს მოვუყაროთ თავი და ომს მალე მოვუღოთ ბოლო. (პეტ. ვედ.).

—

«დ. მ.» იუწყება: 29 თებერვალს ჰინგიანთან იაპონელებს 20,000 ჯარი ჰყავდათო. ჯარს სურსათი აკლია და თავშესაფარიც არა აქვს; პირდაპირ თოვლზეა დაბანაკებული. მუცელა და ფილტვების ანთება გახშირებულია.

«დ. ექს.» ამბობს: იაპონელთა მოწინავე რაზმი დაბანაკებულია ჩრდილოეთ-კორეაში, ანჯოუდგან მიოხონსანამდე, მდინარე იალუდგან 50 მილის სიშორეზე. («ნოვოსტი»)

—

ერთი ინგლისური გაზეთი, რომელიც შანჰაიში გამოდის, იაპონელებს უსაყვედურებს, ჩინეთის ნეიტრალიტეტს რად არღვევთო. იაპონელები წინანდებურად ჩინეთის ნავთსადგურებში შედიან, სანოვაგესა ჰყიდულობენ, ქვანახშირით ავსებენ გემების საწყობებს და ყოველივე გააქვთ, რაც-კი დასჭირდებათ. რუსეთმა უნდა პროტესტი განუცხადოს ჩინეთს და მოსთხოვოს, რომ ნეიტრალიტეტის დამრღვევთ მფარველობას არ უწევდესო. («ნოვ. ვრ.»).

—

ბერლინში ცნობა მიუღიათ პორტ-არტურიდგან 11 თებერვალს, რომ იაპონელების უკანასკნელი იერიში საზარელი რამ იყოო. უეჭველია, ორთავ მხარეს მრავალი უნდა იყოს მოკლული და დაჭრილიო. (იქვე).

—

მარკიზ იტოს უთქვამს «ტაიმსის» კორესპონდენტისათვის: ჩემს მისიას ფომალური ხასიათი აქვს პირადად განვუზიაროთ ერთმანეთს მეგობრული გრძნობა და ამით განვამტკიცოთ ეხლახან დადებული ხელშეკრულობა იაპონიასა და კორეას შორისო. მარკიზს იმედი აქვს, რომ კორეა ამას შემდეგ აღორძინდება ყოველ მხრივ, რადგან იაპონია მოწადინებულია ისეთი მფარველობა გაუწიოს კორეას, რომ დაახლოვება იაპონიასთან სანანურად არ გაუხდეს. მე არ მესმის რუსეთის დიპლომატიის მეთოდი, რომელიც უადგილოდ მიმაჩნია როგორც კორეაში, ისე ყველგანაო. მე მოხარული ვარ, რომ კორეელთ მალე შეიგნეს იაპონელების კეთილი სურვილი და დარწმუნდნენ, რომ იაპონია მათთვის ბევრს რასმე გააკეთებს, რასაც რუსები ვერც მოახერხებდნენ და არც მოინდომებდნენო.

იგივე კორესპონდენტი იუწყება: სეულში ცნობა მოვიდა, რომ უსსურიის სამხრეთით რუსეთის მოხელემ, თანხმად თავის მთავრობის მოწერილობისა, ოფიციალურად განუცხადა სამ-ხინის გუბერნატორს, რომ რადგან კორეელები იაპონელებს ეხმარებიან, რუსეთი კორეას მომარ სახელწიფოთა სთვლისო. იაპონიის წარმომადგენლებმა ურჩიეს კორეის მთავრობას ჩრდილო პროვინციების მოხელეებს მისწეროს, რომ ამგვარ განცხადებათ, ყურადღება არ მიაქციონო. («ნოვოსტი».).

—

გაზეთ «ტაიმს» ატყობინებენ იაპონიიდგან: როდესაც იაპონელებმა რუსეთის ნაღმიანი გემი «სტერეგუშჩი» დაატყვევეს, თავის გემს მოუბეს და ისე მიათრევდნენ, ამ ნაღმიან გემზე 35 დაჭრილი და მოკლული მეზღვაური ყოფილა და ოთხიც წყალში გადავარდნილი რუსი ამოუყვანიათ. «სტერეგუშჩიზე» ორი ცოცხალი მეზღვაური დარჩენილა, რომელნიც ტრიუმში ჩაკეტილან და იაპონელებს არ დაჰმორჩილებიან, თუმცა ბევრს ურჩევდნენ. ამ ორმა გმირმა, დამორჩილების ნაცვლად, ისიც-კი გამოსტაცა ხელიდგან გამარჯვებულ მტერს, რაც ნადავლად მიაჩნდა: გახსნა მილები და წყალი შეუშვა გემში. მალე მთლად გემი წყლით აივსო და დასძირა. ამ რიგად. გემი და მისი მცველნი ერთად ჩაიძირნენ ზღვის უფსკრულში. («ნ. ვ.»).

## ტფილისი

*** საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ იმათ, რომელნიც საქალაქო სასწავლებელთან არსებულ საპედაგოგიო კურსებზედ მსმენელებად არიან, სამ ხედრო ბეგარის გადახდის დროს არავითარი შეღავათი არ ეძლევათო.

*** გამოვიდა ჩვენის რედაქციის მიერ გამოცემული შორეულ აღმოსავლეთის რუქა. სხვა-და-სხვა ადგილები ფერადებით არის აღბეჭდილი. თითო ცალი 3 შაური ღირს.

*** 19 მარტს დანიშნულია ქალაქის ხორცის დუქნების გამგე კომისიის კრება. კომისიის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ევანგულოვმა, განკარგულება მოახდინა, რომ კომისიის კრებებზე დასწრების უფლება მიეცეს გაზეთის წარმომადგენელთ.

*** როგორც მკითხველთ ვაუწყებდით, ტფილისის ცეცხლისაგან დაზღვევ საზოგადოების კრებამ ვერ მოასწრო ყველა საქმეების განხილვა, რადგან დიდი ყვირილი და ხმაურობა ასტეხეს წევრებმა. დანარჩენ საქმეთა განსახილველად საზოგადოების გამგეობა 4 აპრილისათვის აპირებს კრების დანიშვნას.

*** ხვალ, 20 მარტს, დანიშნულია ტფილისის პირუტყვთა მფარველ, საზოგადოების მორიგი კრება, რომელიც, სხვათა შორის საზოგადოების წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლის შესახებ მოილაპარაკებს.

** 21 მარტს ტფილისის «კრუჟოკ»-ში ინჟენერი ნ. ნ. პილცოვი წაიკითხავს ლექციას წყალდიდობის შესახებ. მთელი შემოსავალი გადაიდება რუსეთის წითელის ჯვრის სასარგებლოდ.

** ქალაქის გამგეობამ, როგორც უკვე ვაცნობეთ მკითხველთ, გადასწყვიტა, ქალაქის ყოველ საპოლიციო უბანში დააარსოს ღარიბთათვის სამზრუნველო. ამ კამად არჩეულია უკვე კომისია, რომელმაც სამზრუნველოს დაარსების შესახებ საკითხი დაწვრილებით უნდა განიხილოს. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა რ. ა. იოანისიანი.

*** შაბათს, 20 მარტს, დანიშნულია საზოგადო კრება რუსეთის სატეხნიკო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა. კრება დანიშნულია კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში.

*** დ-რმა ბლიუმენტალმა ტფილისში სამი ლექცია წაიკითხა. სამთავე ლექციებიდან შემოსავალი ყოფილა 640 მანეთი.

*** ჰლექის საწინააღმდეგო გამოფენიდან ჯერ ჯერობით შემოსულა 450 მანეთი. მთელი შემოსავალი ბლიუმენტალმა კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოებას შესწირა. ამ საზოგადოებას დაავალა ბ-მა ბლიუმენტალმა, ეს ფული მოახმარე ტფილისსა და მთელს კავკასიაში ჰლექის წინააღმდეგ ღონისძიებათა მიღებასაო.

*** ტფილისის აფიცერთა საეკონომიო საზოგადოებას ყოველ წლივ დიდ-ძალი ღვინო მოაქვს და ასაღებს. ქალაქის გამგეობამ შარშან წინადადება მისცა ამ საზოგადოებას,—ნება მიეცით ქალაქის სასანიტარო კომისიას, რომ ეს ღვინო გამოიკვლიოს, სადი არის თუ არაო. ქალაქის გამგეობას გუშინ ტფილისის გუბერნატორმა აცნობა სრულიად საჭირო არ არის, რომ ეს ღვინო სასანიტარო კომისიამ გამოიკვლიოს, რადგან იქვე იკვლევენ, საიდანაც მოაქვთო. ამ აზრისაა სასანიტარო ინსპექტორი და გუბერნიის ექიმიო.

*** ტფილისში ცნობა მოვიდა, სოფ. ახტალაში (ბორჩალოს მაზრა) მოჰკლეს გენერალი ლისოვსკი და მისი მოსამსახურეო. მკვლელი ვინ არის, ჯერ-ჯერობით დანამდვილებით არ იციან.

*** ტფილისში მცხოვრებ მაჰმადიანთ განუზრახავთ, ხელის მოწერით ფული შეაგროვონ შორეულ აღმოსავლეთში დაჭრილ მეომართათვის შემწეობის აღმოსაჩენად.

*** ხმოს. ა. ბაბოვმა და ს. ჰრელაშვილმა ქალაქის გამგეობას წინადადება მისცეს, გოგირდის აბანოებთან საბალნეოლოგიო სადგური დააარსეთო. ხმოსნები სთხოვენ გამგეობას, საბჭოს წარუდგინე ჩვენი წინადადება განსახილველადაო. ქალაქის გამგეობა ამ წინადადებას ჯერ თვითონ განიხილავს.

*** ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს სამკურნალო განყოფილების განკარგულებით, გამოიცა ახალი სავალდებულო დადგენილებანი, რომლითაც სოფლის ქსენონის გამგეებმა უნდა იხელმძღვანელონ. დადგენილებანი ამ დღეებში დაეგზავნება სასოფლო ქსენონების გამგეთ.

*** გაზეთებში დაბეჭდილია შორეულ-აღმოსავლეთში გამგზავრებულ აფიცერთა მიერ გამოგზავნილი დეპეშა: „ჩელიაბინსკი, 11 მარტი. გავიარეთ ურალი. აზიიდან სალამს ვუძღვნით ნათესავთა და ნაცნობთ. ყველანი კარგადა ვართ. პოდპოლკოვნიკი თავადი ჩხეიძე, ექიმი კოლოსოვი, კაპიტანი ანდრუშკევიჩი, პორუჩიკი თავადი წერეთელი, კორნეტი რადუშკევიჩი და პოდპორუჩიკი ულსკი-".

*** მტკვარმა ერთობ მოიმატა. გუშინ წყალი ცოტად ჩადგა კალაპოტში. ამბობენ, ზოგიერთ ადგილებში წყალმა მცხოვრებთ შესამჩნევი ზარალი მიაყენაო.

*** 15 მარტს, საღამოს 8 საათზე, შერემეტიევის ქუჩაზე პოლიციელმა იპოვა ჩვ ებში გახვეული ორის კვირის ბავშვი. იქვე ბარათი ეგდო ზედ-წარწერით: ,,მოუნათლავია''. ბავში ოლგას საბებიო ინსტიტუტში წაიყვანეს.

## ჩვენებური ამბები

**ქ. ბათუმი.** ბათუმში ერთი კარგი თეატრის შენობა არ არის. სწორედ კარგი იქნება, რომ ბათომის ვაჭრები ითავებდნენ, საწევრო ფულს შეაგროვებდნენ, საადგილ-მამულო ბანკს დაიხმარებდნენ და ერთს მშვენიერს თეატრის შენობას ააგებდნენ. ამ უკანასკნელ დროს თითქმის ყოველ დღე იმართება წარმოდგენები: ხან რუსული. ხან ქართული, ხან ბერძნული და ხან სომხური. მოკლედ რომ ვსთქვათ, შეიძლება თეატრი თვეში ხუთი დღე გასცდეს და, რასაკვირველია, ამ შემთხვევაში კაი შემოსავალი უნდა დარჩეს. მგონი კი, უნდა დააკმაყოფილოს თეატრის პაის პატრონები და საადგილ-მამულო ბანკი; თუმცა ბათუმის თვით-მმართველობაც აპირებს თეატრის აგებას, მაგრამ შეიძლება ბათუმის ვაჭრებმა დაასწრონ.

ს. აბ.

—

**სოფ. კიცხი** (შორაპნის მაზრა). სოფელი კიცხი დაბა ყვირილიდგან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ თორმეტის ვერსის მანძილზეა. ადგილი მთა გორიანია. ბუნებას კიცხისათვის დაუსაკუთრებია ქარი; იგი თითქმის მუდმივი სტუმარია ამ სოფლისა და საგრძნობლად მავნებელია. ორი წილი მცხოვრებლებისა გლეხობაა, დანარჩენი-კი აზნაურნი მისდევენ ხვნა თესვას და მევენახეობას; აქაურმა ვაზმა ვეღარ გაუძლო სენს და ამიტომ მიჰყვეს ხელი მიწის ბრუნებას და შიგ ამერიკის ვაზზედ დამყნილის ვაზის შენებას. ამას შვრებიან მხოლოდ სხვის მიბაძვით ამასთან ისიც სამწუხაროა, რომ მახლობელი სანერგე, რომელიც მდებარეობს სოფ. საქარაში, ვერ იძლევა საჭირო ნერგს და მხოვრებნი იძულებულნი არიან ნერგი კერძო კაცთაგან იყიდონ. სწავლა-განათლებით კიცხელნი სხვა სოფლებს უკან არ ჩამორჩენიან: აქ არსებობს ორკლასიანი სამინისტრო სკოლა, სადაც 160-მდე მოსწავლე სწავლობს ორის მასწავლებლითა და მღვდლის ხელმძღვანელობით, მღვდელი უსასყიდლოდ შრომობს. ამ ერთის კვირის წინად საზოგადოებამ დაადგინა განაჩენი მესამე მასწავლებლის მოსაწვევად, რადგან რიცხვი სწავლის მსურველთა შესამჩნევად მატულობს.

კიცხელები საზოგადოდ შესმენილი, ზრდილობიანი და სტუმართ მოყვარე ხალხია, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს ერთი ნაკლულევანება დასჩემდა აქაურ ს—შური და უთანხმოება ერთმანეთში—საზოგადო ს ნი ქართველებისა. უფრო ახალის ეკკლესიის აგების გამოა ეს უსიამოვნება. ვისურვებთ, რომ საქმე კეთილად და ერთმანეთში მეზობლურის მორიგებით გათავებულიყოს. ამისათვის საჭიროა უმცირესობა უმრავლესობას დაემორჩილოს,—სხვა გზა არ არის.

ე—ლი.

—

**ს. გურიანთა** (გურია). ს. გურიანთა ოზურგეთიდგან ჩრდილო-დასავლეთის მხარესაა, 4 ვერსის მანძილზედ. მდებარეობა კარგი აქვს, საზოგადო სკოლა 3-ნახევარ ვერსის მანძილზეა აქედან სხვა სოფელში. გზებიც სკოლამდე სავალი ცუდია. მათი კეთება ახლა დაიწყეს მამასახლისის კუპრაშვილის მეცადინეობით.

სოფელს აქვს გამართული ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა, რომელიც ექვსი წელია, რაც არსებობს.

ამ ბოლოს დროს ჩვენს სოფელში იჩინა თავი ქურდ-ბაცაცობამ. იშვიათი კვირა იქნება, რომ ვინმე არ გაქურდონ. მაგ., ამ დღეებში სამი ცხენი მოიპარეს...

ი. ხელობნელი.

—

**ჭიათურა.** შავი-ქვის მრეწველთა მეხუთე კრების შემდეგ, ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს მადაროებიდან გადმოსაზიდ გზების შეკეთებას და, სადაც საჭიროდ დაინახა ამ კრებაზედვე ამორჩეულმა კომისიამ, ახალის გზის გაყვანასაც შეუდგა. თუმცა ჯერ კიდევ ბევრია ისეთი გზები, რომელიც საჭიროებს შეკეთებას, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ამ გზებისათვის ინჟენერ-ზედამხედველთ ვერ მიუქცევიათ ყურადღება, რათა მოიჯარადრეს გეგმაზედ გაეკეთებინა, და ზოგიერთა გზები უვარგისია. ავიღოთ, მაგალითად, კიდაკარის გზა: სულ ერთი თვეა, რაც ეს გზა მოთავდა და საბჭომაც ჩაიბარა; თუმცა გზა ახალ-გაკეთებულია, თუმცა საკმაო ფულებიც დაიხარჯა ზედ, მაგრამ მაინც თითქმის უვარგისია და შეკეთებას თხოულობს; ჯერ მოთავებული არ ჰქონია გზა და ეხლავე ნაპირის კედლები ენგრევა. თუმცა ჯერ არავითარი უბედური შემთხვევა არ მომხდარა ამ გზაზედ, მაგრამ მოსალოდნელია უოგველ დღე, რადგან კედლები იშლება. ვიმეორებთ, რომ ძალიან ცოტა ყურადღებას აქცევს შავი-ქვის მრეწველთა საბჭო თავისს მოვალეობას. საჭიროა, ამას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს მრეწველთა საბჭომ და დაავალოს ინჟენერ-მეთვალყურეთ, მეტის ენერგიით მოეკიდნენ თავიანთს მოვალეობას, ვიდრე დღემდე.

9 მარტს, შუქრუთის გზას ჩამოენგრა ნაპირის კედელი და ერთი უდედი კამეჩი კლდეზედ გადაიჩეხა; კიდევ კარგი, რომ კაცი არ დამარცხდა.

თითქმის ორი თვეა, რაც შუქრუთის გზა საჯაროდ ვაჭრობით გაიცა გასაკეთებლად. ჯერ იყო და, მოიჯარადრეს ერთს თვეს არც-კი დაუწყია მუშაობა; ბოლოს-კი თუმცა შეუდგა, მაგრამ ვერ მუშაობდა რიგიანად. ასე რომ, არა გვგონია აღნიშნულ ვადაზედ მოთავდეს; შედეგი-კი ის იქნება, რომ ისედაც შევიწროებულს მრეწველობას ძალიან ხელს შეუშლის იმ მხარეზედ. ეს კიდევ არაფერი, მაგრამ ჩვენ ვეშინობთ, ვაი თუ ეს გზაც ისე უგეგმოდ გაკეთდეს, როგორც კიდაკარის გზა, და მოთავებისთანავე შეკეთება მოითხოვოს. უნდა ახსოვდეთ ინჟენერ-ზედამხედველთ, რომ ამ გზას მაინც აცდინონ ის ნაკლი, რომელიც სხვა გზებზედ მოსვლიათ. ამ გზისათვის, როგორც საბჭოს მიერ დ. ბეჭდილ განცხადებიდანა სჩანს. 17,000 მანეთამდე არის გადადებული და ჩვენა გვგონია, საკმარისია ეს თანხა, რომ რიგიანად გაკეთდეს გზა. ამას საბჭომაც უნდა მიაქციოს ყურადღება და დაავალოს, ვისაც ჯერ არს, თორემ, თუ გზა ცუდად გაკეთდა, საზოგადოებისათვისაც ზარალია და საბჭოს მოქმედებასაც ჩირქს მოსცხებს, რადგანაც ფული ბევრი იხარჯება და საქმე-კი ვერ კეთდება ისე, როგორც უნდა გაკეთებულიყო.

ლადო გუბელი

—

**ალაგირი** (თერგის ოლქი). ალაგირში ქართველები 120 კომლზე მეტია; ესენი

---

## ფელეტონი

### ისტორიულ პიესის წარმოდგენის გამო.

(ვუძღვნი ჩვენს დრამატიულ საზოგადოებას)

(შემდეგი *)

შოთას დროს თავს ეხლანდელი ქართულის ქუდის მინამგზავსი, ხოლოდ უფრო დაბალი, წვერში მორგვალებული, არ გაჭრილი, უენო, პატარა ბოჩქოიანი, სარღუჯი ქუდი, ხმარებული ქალთა გინდა კაცთაგანაცა ხომალდის ცხვირის გვარი (შუბლზედ და კეფაზედ აწეული), ტანს პერანგი, ყელ სრულიად მჩენი, როგორც ძველად, მარჯვენა 33) მხარეს საკინძით—ოქრო-ვერცხლის, ან აბრეშუმბამბის გამონასკულ ღილით შესაკვრელი. პერაგნი, როგორც ძველად, აბრეშუმისა, ბამბისა, შალისა, როგორც დღეს თუშფშავ-ხევსურთ,—საყელო გარეშე, გულზედ ოქრომკედ ბუზმენტ, ყაეთან, ჩაფარიშ მოვლებული. ზედ ახალუხი—კაბა ულილო, მარჯვენა მხარე მარცხენაზედ გადატანებული ისე, რო გული მთლად ორ-პირად დაფარულიყო, ჩნდა მხოლოდ ყელთან პერანგი, სახლები მაჯასთან ვიწრო, უყოშებო, ქართულ ყაეთნის ღილებით შესაკვრელ, (როგორ ყიზილბაშთ), მოვლებული მაჯა-საყელო გულზედ პრტყელ ზარიან-ბაბთით, მასზედ ზარ ბეწვ-ბაფთ მოვლებული და ბეწ-სარჩულიანი, სახლებ მოკლე ქათიბი (სახლები, არ გაჭრილი იღლიიდან)—ქულაჯა-ზარქაშისა, ოქსინისა 34), რიზა ქირმან-შალისა, ქიქნაურისა, შალისა და მასზედ სახლებ გაჭრილი—ყოშებიანი ჩოხა (ქართული კაბა), სარტყელი პრტყელი (ახალუხზედ) მოგროვილი აბრეშუმისა ან ბამბისა, შალისა ფოჩჩაშვებული. სიცივეში ტყავი, როგორც ძველად,—ტყავ-კაბა. ფეხთ პაიჭი, მოგვი, წინდები მატყლ აბრეშუმისა, წუღა-ტყავისა, ქოში, ქალამანი, ჩითა, როგორც დღეს თუშთ. დანარჩენი, როგორც ძველად. შემდეგ და შემდეგ შემოსილება ესრედ იცვლება: პერანგი—ძველად უგრძელესი ყოველ ტანთ-საცმელისა თანადათან ისე მოკლდება, რომ ჩვენს დროს წელს ლაჰფარავს, ეგრეთვე მოკლდება კაბა-ახალუხი, ქათიბი, ასე რო უგრძელესი ძველად უმოკლესად გარდიქცა, პერანგი, უმოკლესი ჩოხა-უგრძელესად. დამლევს XVII საუკუნოისა XVIII და მე XIX საუკუნეში ესე ეცვათ:

კაცთ: თავს ქართლელ-კახელებს ბუხრის შავი მაღალი, ოდნავ წვერში ჩაკეცილი, ქირმან შალის ანუ ხავერდის ენიანი ქუდი, ხოლოდ გლოვიარე ქუდს არ ჩაიკეცამდა—ენა ზემო აშვერილ დაიხურავდა (შავებს ჩაიცვამდა, თმას და წვერსდაიყენებდა, როგორც ზემო მოვიხსენიე) თუშს, ფშავს, ქიზიყელს—ნაბდის ქუდი, თუშურ ქუდათ წოდებული, სვანს ნ ბდის ვე—მხოლოდ კალთა დაშვებული, ფაფანაკი, ხევსურს ცოტა მოგრძლო ბეწვიანი ცხვრის ტყავის, დაბალი, შალის ციანი, იმერთ ჯერ ფაფანაკი—სხვა-და-სხვა ქსოვილისა: მოუდისა, აბრეშუმისა, ხავერდისა ოქრომკედ-აბრეშუმ ნარევი, ანუ სადა მაუდისა, შემდეგ გურულებმა, მეგრელებმა ფაფანაკი გადასცვალეს ყაბალახზედ (ჩაბალახზედ); დღეს კი თითქმის ყველანი ჩერქეზულ «ფაფახს» (ცხვრის ტყავისას) იხურავენ, პერანგი უმოკლეს ახალუხისა, ყანაოზისა, მოვისა, ბამბისა, ტილოსი, შალისა (თუშ ფშავ-ხევსურ), კისერ სრულიად მჩენი, მარჯვნივ მხარეს საკინძ შესაკრავი, საყელოზედ, გულზედ ბაფთი, ოქრომკედ ზორან, ჩაფარიშ, ყაითან მოვლებული, იღლია ამოჭრილი—ხიშტაგიანი, ესე იგი სხვა ნაჭერ იღლიაში ჩაკერებული (წითელი უფრო), სახლებ განიერი, მაჯებამდის; პერანგის ამხანაგი შეიდიშისა, ბამბისა, ტილოსი, შალისა (თუშ-ფშავ-ხევსურთ), უბე-ტოტებ განიერი, ლარით (ხონჯარი) შესაკვრელი. ლარი (ხონჯარი საზოგადოებაში არ ითქმის) დაფარული უნდა იყოს, არ ჩნდეს. ლარი აბრეშუმისა, ბამბისა, გოზგრებიანი, ფოჩებიანი, გოზგრები ოქრომკედ-მარგალიტით იყო მორთული. (ამგვარივე ლარი გაყრილი იყო შალვარში). როგორც პერანგი, ისე ამხანაგი სხვა-და-სხვა ფერისა, უფრო-კი წითელი. შალვარი აბრეშუმისა (ყანაოზისა), სხვა-და-სხვა ფერი, თივთიკისა, მაუდისა, შალისა, ყანაოზის, ჩითის ანუ სხვა ქსოვილის სათავე მოკერებული, უკან ოდნავ გაჭრილი, ლარ გაყრილი და მით შესაკვრელი, ტოტებ განიერგრძელი, ქუსლებამდისინ, გარედან ბუზმენტ. ოქრომკედ, ყაითან, შიგნით აბრეშუმის ჩაფარიშ მოვლებული, ხოლოდ ფშავხევსურთ მოკლე—კოჭებამდისინ, შინაურ შალისა, ტოტებ უფრო ვიწრო, სხვა-დასხვა ფერ განიერ ჩაფარიშ, ნაქსოვ მოვლებული. შალვრის წინა ტოტები, რომელნიც ზოგნი სიკოხტავით, მეტად განიერ-არშინზე მეტი ჰქონდათ, ლეკვერთხში 34) ჩატანებულნი, ხოლოდ უკანანი ენასავით გრძლად ქუსლის თავებამდისინ დაშვებულნი. ფშავ-ხევსურნი-კი ტოტებს არაში იტანენ, ისე დაშვებულნი აქვთ. გზა-

33) გამიგონია, ჩვენ მეფეების დროს დიდ ჯილდოდ, დიდ წყალობად ჩაითვლებოდა თურმე ვისაც ნება ეძლეოდა საკინძის მარცხნივ მხარეს შეკვრისა. ამით დიდად ამაყობდნენ. უკეთუ მეხსიერება არ მღალატობს—დღესაც ხევსურთ შორის არიან გვარნი, რომელთაც მინიჭებული ჰქონიათ ესრეთი განსაკუთრებითი წყალობა.

34) ოქსინო არის ზარიანი ხავერდი, რომელიც ინდოეთიდგან შემოჰქონდათ ჩვენ ქვეყანაში (ამ ქსოვილს იხსენიებდა შოთაც). მე XIII საუკუნის დამლევის და მე-XIV საუკუნ. დასაწყისს დროის ხავერდია ჩვენ საეკკლესიო მუზეუმში: ილორის წ. გიორგის ეკკლესიიდან წამოღებული ხავერდის ოქრო მკედ ნაკერი მარიამ გიორგი დადიანის მეუღლის მიერ და მისგანვე შეწირული კრეტსაბმელი. ილორი—სოფელია აფხაზეთში, მარცხენა კიდე მდ. გალიზგისა, ორ ვერსზედ ოჩემჩირიდან, შავი ზღვის პირას. ხავერდის მოქსოვა პირველ შემოღებულ იყო ინდოეთში, შემდეგ გე[illegible]მა იწყეს მისი ქსოვა. შესანიშნავია—რო არც ერთ მზითვის სიაში—მე-XVII, XVIII საუკ. რომელნიც მე ხელთ მქონდა. ხსენება არ არის ოქსინისა. ავტორი.

35) ლეკვესინი—წვივ-საკრავია.

სრულიად მოკლებულნი იყვნენ თავიანთს სამშობლო ენაზე წირვა-ლოცვას. აჭარის მღვდელს, მ. გიორგი უარავს, თუმცა ისია,—ქართულად წირვა-ლოცვა მშვენივრად შეეძლო, მაგრამ რადგან გამოურკვეველის მიზეზის გამო მას არ უყვარს ქართველები და არც სურს მათ ენაზე წირვა-ლოცვა. ორ წელიწადზე მეტია, რაც აჭარის ქართველები სამშობლოს დაშორდნენ და ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ მოუსმენიათ ქართული წირვა-ლოცვა. აქ სულ რუსულად სწირავენ, რის გამოც იშვიათად ჰნახავთ ქართველს ეკლესიაში; ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია კავკავის ეპისკოპოსმა, ყოვლად სამღვდელო ვლადიმერმა, და აჭარ ქართველთა საზოგადოების თხოვნით, დიდმარხვის მესამე კვირაში გამოგზავნა ლარსის მღვდელი, მ. ნესტორ ბაკურაძე, ქართულს ენაზედ წირვა-ლოცვის შესასრულებლად. უღრმესს მადლობას უძღვნის აჭარის ქართველი საზოგადოება ყოვლად-სამღვდელო ვლადიმერს ასეთის მამობრივის ყურადღებისათვის. ხალხი სიხარულით მიეგება ამ ამბავს და დიდის გულმოდგინებით იწყეს მზადება წმიდა საიდუმლოს მისაღებად. დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი,—ყველა სასოებით ისმენდა ქართულს წირვა-ლოცვას. წირვის დროს გალობდა ქართულის სკოლის მასწავლებლის ბ-ნ გ. რაზმაძის ხორო; ამ ხოროს გალობა ძლიერ მოსწონს აჭარის ქართველობას ხალხი ამბობდა წირვის გამოსვლის დროს: ეხლა ვცხონდი და დავიბადეო, და აწი რომ მოვკვდე კიდეც, არად ჩავაგდებო».

5 მარტს ოსეთის სამხედრო გზაზე შემდეგი უბედურება მოხდა: კავკავიდგან მიმავალს მეურმე ნიკო გობეჩიშვილს გადაუვარდა კლდეზედ ურემი და მთლად დაიღუპა ცხენიანად, მხოლოდ კაცი-კი გადარჩა. ამას წინად გადაუვარდა ცხენი და ურემი თუშეველ ოსსა, თვითონაც გადავარდა და ურმიანად დაიღუპა.

მიზურელი.

## რუსეთი

«სამიწადმოქმედო გაზეთი» ურჩევს გლეხებს იმ გუბერნიისას, სადაც მოუსავლობა იყო, რომ კარტოფილის გარე კანი იხმარონ საკვებად, ე. ი. კარტოფილის ქაში, რომლისასაც სახამებელს აკეთებენ. გაზეთი ირწმუნება, რომ ამისთანა პური საუცხოო რამ არისო. ამის გამო გაზ. «ხაზიაინი» სამართლიანად დასცინის ზემოხსენებულს გაზეთს და ამბობს, რომ ეს «საკვები» მასალა ისეთივეა, როგორიც არის ბამბა, ქაღალდი და სხვა ამგვარებიო. «სამიწადმოქმედო გაზეთი»-კი იმით ასაბუთებს თავისს აზრს, რომ ერთხელ თურმე კარტოფილის ქერქის «პური» გადაუგდეს მშიერს ძაღლს, რომელსაც სიამოვნებით მიურთმევია ეს გემრიელი საჭმელი. ამ ამბავს ერთი გლეხიც დასწრებია, რომელსაც უთქვამს,—არა უშავს-რა, ამისთანა პური კარგია საჭმელად; ჰხედავთ, ძაღლმა როგორ გემრიელად ჩაახრამუნაო?! ჩვენ-კი შიმშილობის წელიწადში ისეთს პურს გვაჭმევდნენ, რომ ძაღლსაც არ ეჭმეოდაო.

## უცხოეთი

**რ ო მ ი. *)**

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

შაბათ საღამოს, 19 მარტს (ახალი სტილი) წმიდა იოსების დღესასწაულს, რომის დიდებული წმიდა პეტრეს ეკლესია წარმოადგენდა იმ საუცხოო სურათს, რომელიც დღევანდლამდინ ვერც ერთ მწერალმა ანუ პოეტმა ვერ შეიძლო ცხოველად გამოხატვა. ამ სურათის სახეში წარმოდგენა მარტო დამსწრეს შეუძლია. მაგრამ ამას სხვას-კი ვერ გადასცემს. ეს მთელი ქვეყნის საკვირველებათა ტაძარი, რომელიც 80,000 კაცს დაიტევს, ამ დროს თითქმის სავსე იყო ყველა წოდების, ხნის და ტომის ხალხითა, რომელთაც შვილებრივი სასოებით პირველ გზის პარაკლისი (Fe Deum) გადაიხადეს თავიანთი საყოვლიერო მამის, პაპის, პიო მე-X დღეობისა, ვინაიდგან პაპს ნათლიღების სახელი იოსები ეწოდება. მართლაც, რომ შეუძლებელია კაცმა როგორმე გამოაცხადოს ის შთაბეჭდილება, რომელსაც გრძნობს, როდესაც ხედავს იგოდენ აღურიცხველს ყველა ტომის, ენის და წოდების ხალხს, რომლებიც, გატაცებულნი თავიანთი საყოვლიერო სულიერი მამის სიყვარულით, ერთ პირად შეღაღადებენ ღმერთს მის სადღეგრძელოთ.

ეს ცერემონია დიდის დიდებით შეასრულა კარდინალ რამპოლამ, რომელიც წმიდა პეტრეს ეკკლესიის მთავარი მღვდელია. ხალხის მისწრაფება ამ ცერემონიაზე დასასწრებლად მეტად დიდი შესანიშნავი იყო. ხალხის ესრეთი საყოვლიერო სიმპატია ამ მოკლე დროში პაპმა დაიმსახურა თავისი მიუკერძაობით და მეტადრე თავისი დემოკრატიულის თვისებით, რადგან ყველას აკმაყოფილებს და ყველას აბედნიერებს თავისის ნახვით, ვინცკი ისურვებს მის ნახვას. მან თავისი სასახლის კარები ყველას გაუღო. დღეს, როგორც მდიდარს, ანუ მაღალი წოდების პირს, ისრე მდაბალს, ღარიბს, მუშას, შეუძლიან დასტკბეს მისი ნახვით. დღეს პაპს შესანიშნავად ახასიათებს თავისი მიუკერძაობა და საქმის ზედმიწევნით გამოძევა. საჭირო საქმეებში, პაპი სხვებს როდი უგდებს ყურს, არამედ თვით იძევს ყველასფერს დაწვრილებით და განკარგულებას ისე აძლევს. აი მისი ერთი შესანიშნავი მაგალითი, რომელიც შეეხება თვით საქართველოს კათოლიკებს.

საქართველოში მყოფ სომეხი კათოლიკების ზოგიერთ პირებმა მოინდომეს ახალი პაპი, პიო მე-X, თავიანთკენ მიეზიდათ და თავიანთ ბადეში გაებათ. ეს მისია მიანდეს ვენეციაში მყოფ მონაზონ-მეხითარისტების გენერალს, რადგან ეს მეტად დაახლოებული მეგობარი იყო ახალი პაპისა, რომელიც, ვიდრე პაპად აღირჩეოდა, ვენეციაში მღვდელთმთავრობდა. ეს გენერალი განგებ წავიდა რომში, თავისი მეგობარი პაპი ნახა, ყველასფერი მოახსენა, რასაკვირველია, ისე როგორც მიანდეს: შავი თეთრად დაანახა და საქართველოს კათოლიკებში იგოდენი შფოთის ჩამომგდები ზოგიერთი მღვდლები უმანკო კრავებად გამოიყვანა. სომხებს არ შეეძლოთ ამაზე უკეთესი საშუალებისათვის მიემართათ თავიანთ სამუდამო გასამარჯვებლად. ამის შემდგომ იჭვი აღარ იყო, რომ ქართველი კათოლიკენი მიწასთან გასწორდებოდნენ და ყველა უფლება ჩამოერთმევოდათ სომხების სასარგებლოდ. გარნა საქმე სულ სხვანაირად დატრიალდა. პაპმა, რა მოისმინა თავისი მეგობარი გენერალის მოხსენება, გულ-შემატკივნეულობა გამოუცხადა და დაკმაყოფილებაც შეჰპირდა. პაპი მალე თვითვე შეუდგა ამ საქმეს და თვითვე გამოიძია ყველა, ვიდრე იქამდინ, რომ პაპმა მთლად გადაიკითხა ის წიგნი, რომელიც შარშან მღ. მეხითარისტ ნაჰაპეტიანმა ვენეციაში გამოსცა ქართველი კათოლიკების წინააღმდეგ და რომლის პასუხიც შარშანვე დაიბეჭდა «ივერიის» 228-ის და მის შემდეგ ნომრებში. ერთი და იგივე გულსმოდგინებით პაპმა გამოიძია ეგრეთვე ქართველ კათოლიკების საქმე და ტფილისის ეკკლესიის ყველა გარემოება. რა სცნო ყველა, დიდად განიკვირვა სომხების უწესო მოქცევა და მათი მეტიჩარობა, მასთანვე სამართლიერად სცნო ქართველ კათოლიკების ყველა საბუთები. ეს თავისი აზრი მაშინათვე აცნობა ორს სეკრეტერს და მათ წინაშე განკიცხა სომხების ურიგობა. ესრე სომხები თვითვე ჩავარდნენ იმ თხრილში, რომელიც სხვებს გაუთხარეს. ამნაირად, სიმართლემ ყველგან გაიმარჯვა.

პაპმა რომ თავისი პრაქტიკული თვისებით და მიუკერძაობით მეტად დაიმსახურა ყველას თანაგრძნობა, ეს იმითიც ცხადდება, რომ, როგორც რომის გაზეთებმა გამოაცხადეს, მარგალიტამ, ქვრივ იტალიის დედოფალმა, მოიწადინა მისი ნახვა. გარნა, როგორც სჩანს, ლიბერალთა დასმა არ მიუშვა დედოფალი მისულიყო პაპის სანახავად. უკვე ცნობილია, ვატიკანის და იტალიის სამეფო სასახლის მწევრებთა შორის არავითარი მიმართობა ჰგიებს. ამის გამო მეფის დედამ ჯერ-ჯერობით ვერ შეისრულა თავისი სურვილი პაპის ნახვისა.

პიო მე-X-მ თავისი დღეობის წინა დღეს, მისალოცავად მიიღო კარდინალთა კრება და მის წინაშე წარმოსთქვა შესანიშნავი სიტყვა. სხვათა შორის, ილაპარაკა საფრანგეთის მთავრობაზეც. პაპი აქამდინ გაჩუმებული იყო და არც ერთი მთავრობის პოლიტიკის შესახებ არას ამბობდა. გარნა ეხლა ხმა ამოიღო, შეუპოვრად და ენერგიულად გაჰკიცხა საფრანგეთის მთავრობა, რომელიც, ლიბერალთა და ფარმასონთა წყალობით, მეტად უკუღმართ გზას დასდგომია და, მონაზონთა განდევნის შემდგომ, ახლა შესდგომია მოსპოს სწავლების თავისუფლება და, ამნაირად, უდიდესი ბარბაროსობა იმოქმედოს, ვინაიდგან არც ერთ სახელმწიფოში მოიპოვება ისეთი თავის უფლების შემხუთავი კანონი, როგორსაც ახლა საფრანგეთი აპირებს შემოღებას, რათა მთლად ბოლო მოეღოს ქრისტიანულს სწავლა-განათლებას. ეს შესანიშნავი სიტყვა პაპმა დააბოლოვა საფრანგეთის კათოლიკების შეგულიანებით, რათა მოთმინებით და სიმხნით იტვირთონ მთავრობის ესრეთი უსამართლო და ფიცხი დევნულება, იმ იმედით, რომ ღმერთი მალე გადმოხედავს მათ და მალე ბოლოს მოუღებს ესრეთ უსამართლო მდგომარეობასო. პაპი კარგად უწყის, რომ თავისი ესრეთ შეუპოვარი განკიცხვა დიდს ალიაქოთს გამოიწვევს საფრანგეთის ლიბერალებისაგან. გარნა მას არავის ერიდება, როცა სიმართლის გამოსარჩლებაზეა საქმე. რადგან მტკიცე იმედი აქვს, რომ თუ მას უმეტესად წინაალუდგებიან, ისე თავპირს დაიმტვრევენ პეტრეს შეურყეველ კლდეზე დაჯახებით, როგორც აქამდინ, დაწყებული ნერონიდგან პირველ ნაპოლეონამდე, შეიმუსრნენ.

X.

## ნარკვევი

მშვენიერი, საფუძვლიანი და გულწრფელობით სავსე წერილი დაუბეჭდია ბ-ნ ბუკვას «ოდეს. ლისტ.»-ში მწერლობის შესახებ.

სიმართლე შეურყეველი იდეალიაო ჩვენის სიტყვა-კაზმულის მწერლობისა, ჩვენის ხელოვნებისა, ჩვენის პუბლიცისტობისაო.

განა ბევრი ლაპარაკი-დაა საჭირო, თუ რას ჰნიშნავდა და რას ჰნიშნავს სიმართლე და მარტო ოდენ სიმართლე ჩვენის პუბლიცისტიკისა და მის მოღვაწეთა დიდის უმრავლესობისათვის?! ეს სიმართლე მათი სიმბოლოა სარწმუნოებისა, მათი საუკეთესო აღთქმა, მათი სამოქალაქო დევიზი, საპროფესიო თავმოსაწონებელი, მათი სასმელ-საჭმელი, სიხარული, სიცოცხლე. ძებნა სიმართლისა, მოსმენა სიმართლისა, დამტკიცება სიმართლისა —მუდმივი ოცნებაა თითოეულის ჩვენებურის ჟურნალისტისა.

მაგრამ სიმართლესა, ოცნებასა და მწერლობას შუა ეკლიანი გზაა გასავლელი...

სიმართლესა და მწერლობას შორის ჩვენში, საუბედუროდ, ჩახერგილი იყო და არის დღესაც რაცხვ-მრავალი და ძნელად შესამუსრავი ხარიხა და დაბრკოლებანი. ამ ხარიხა-დაბრკოლებას ამაგრებენ ისინი, ვისაც არ უყვართ სიმართლე, ვინც ერიდებიან სიმართლეს, ის კაცნი და საზოგადოებრივნი ჯგუფნი, რომელთ გულშიც მუდამ იყო დაბუდებული ცოტად თუ ბევრად ფარული, ცოტად თუ ბევრად ქედ-მაღალი, გარნა მუდამ მტრული, არა-იშვიათად გაბოროტებული, ხან ცხადად მძულვარებით აღსავსე კბილების კრაჭუნი მწერლობისადმი, მისის სიმართლის მოყვარეობისადმი, მისის მაღალ დანიშნულებისადმი მუდამ იმალებოდა და იმალება ამ საქმეში უნდობლობა, ეჭვიანობა, წვრილმანი დევნა მწერლობის მიმართ, გულ-ზვიადობით ანუ ვერაგობით სავსე დაცინვა და მასხარად აგდება მის წარმომადგენელთა, სურვილი და მზად ყოფნა პირველ შემთხვევისთანავე თავს დავესხათ მწერლობას, გავთათხოთ უმიზეზოდ, დავაბრალოთ ცრუ-დანაშაულობა, ეჭვ-ქვეშ დავაყენოთ მისი სისპეტაკე და მოუსყიდველობა, მისი გულ-წრფელობა და მოქალაქობრივი პატიოსნება, სურვილი და მზად ყოფნა—ვავნოთ რამე, გავუტეხოთ სახელი მწერლობას და ჩასაფრებულებმა ჩუმად ვესროლოთ ქვა და გუნდაო. ეს ხალხი და ქონდრის კაცნი არიან ხალხი და კაცნი შინაგანის უპრინციპობისა [illegible] ობრივის დაცემისა, ხალხი და კაცნი ცრუ დამსმენელთა და მაბეზღართა და განზრახ ცილის მწამებელთა, ის კაცნი და კაცუნები, რომელნიც ან ნაღებს ჰხდიან მწერლობას თავის სასარგებლოდ, ან სდევნიან, რათა უვნებელ ჰყონ, თუ ვინიცობაა სიტყვა გადაჰკრა და მათრახი გადუჭირა ამ პატიოსნებს უდაბიანობისა და უკანონო საქციელისათვის. ეს ხალხი და კაცუნები ყველგან და მუდამ, მეტადრე პროვინციაში, თუ მარჯვე დრო იშოვეს, უგულებელ-ყოფით ეკიდებიან მწერლობას, სცდილობენ დაამცირონ, შეურაცხჰყონ, მაგისი წარმომადგენელნი შემთხვევით თავ-მოყრილი ბრბოა „რაზნოჩინცებისა“ და საეჭვო, ცუდ-უბრალო, თითქოს მავნებელ, ხელობას ადგანანო.

რუსეთის მ ერლობაო,—ამბობს გულამღვრევით ბ-ნი ბუკვა,—სავაჭრო-სამრეწველო საქმე არ არისო.

ეგ მწერლობა ის დიდი ზნეობრივი ძალაა, გამომთქმელი მთელის ქვეყნის აზრთა და გრძნობათა, მთელის საზოგადოების გულისნადებისა, თვისის დროის ფიქრისა და ზრახვისა და, შეძლებისამებრ, ეწევა თვის ქაპანს, თვისს სამსახურს რუსეთის ერისა და სახელმწიფოს წინაშე, სამსახურს, რომელიც მით უფრო ღირსეულია და პატივ-საცემელი, რომ იგი უსასყიდლოა, ნება-ყოფლობით ნაკისრები და დამოუკიდებელი.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.**

დღეს ქართულს თეატრში დანიშნულია განმეორებით ვ. პროტოპოპოვის პიესა «ცხოვრების გარეშე», რომელიც ქართველ მსახიობთა ამხანაგობამ წარმოადგენა ამ ორის კვირის წინად და, როგორც ჩვენის გაზეთის რეცენზი აშიაც გვქონდა მოხსენებული, წარმოადგინა დიდის ხელოვნებითა და სამაგალითო ანსამბლით. მაშინ, სამწუხაროდ, ძლიერ ცოტა ხალხი დაესწრო და თეატრი თითქმის ცარიელი იყო; იმედია, რომ დღეს ჩვენი საზოგადოება საკმაოდ დაესწრება ამ ფრიად საინტერესო პიესას, მით უფრო, რომ ეს წარმოდგენა უკანასკნელია ამ დიდ მარხვაში.

—

როგორც ისმის, ქართველ მსახიობთა ამხანაგობა ნაალდგომევსაც აპირებს რამდენისამე წარმოდგენის გამართვას და პროვინციაში გამგზავრებას.

—

ჯერ ებრაულ ენაზე არსად საოპერო წარმოდგენა არ გაუმართავთ, თუმცა არა ერთი და ათი ებრაელია საუკეთესო მცოდნე მუსიკისა. ნიუ-იორკში 20 მარტს პირველად წარმოადგენენ ებრაულს ენაზე «დემონს», მუს. რუბინშტეინისა.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 მარტი.

**პეტერბურგი.** გენერალ-მაიორობა ებოძა და დაინიშნა მანჯურიის მხედრობის ეტაპების უფროსად პოლკოვნიკი ბარონ იკსკულ-ფონ-გილდებანტი. -გენერალ-მაიორი ზაბელინი დაინიშნა მანჯურიის ჯარის სამხედრო მიმოსვლის უფროსად.

**ბერნი.** 15 მარტს 2 საათ. 20 წ. მიწა იძრა. გაისმოდა მიწის ქვეშიდან გრგვინვა.

**პარიჟი.** პალატამ ხმის უმეტესობით, 308 ხმით, წინააღმდეგ 231, მიიღო რაბიეს წინადადება იმის შესახებ, რომ გაუქმებულ იქმნეს უკანასკნელი [illegible] პარაგრაფი იმ კანონისა, რომელიც კონგრეგაციის წევრთ მასწავლებლობას უკრძალავს. შემდეგ პალატამ მიიღო მთელი კანონ-პროექტი ხმის უმეტესობით—316 ხმით წინააღმდეგ 269.

**მუკდენი.** 15 მარტს სამხედრო მატარებლით მობრძანდა დიდი მთავარი ბორის ვლადიმერის ძე; მას მიეგება ქვეითა ჯარის შტაბის უფროსი, გენერალი ჟილინსკი. დიდი მთავარი წაბძანდა მეფის მოადგილესთან.

10,000-მდე იაპონელნი გადავიდნენ მდინარე ჩინჩანგანზე, ჩრდილოეთ კორეაში; ანჩჟიუს მახლობლად მტრის მიერ გამოგზავნილი მზვერავნი იყვნენ. ხმები დადის, 5,000 ჯარის კაცი ჩენჩჟიუდან ჩრდილოეთისაკენ წავიდაო. კასსანი დაჭერილია მტრის ქვეითა ჯარით. კავალერია წინანდებურად ძალიან ერიდება, რომ ყაზახებთან შეტაკება არ მოუხდეს. ორ იაპონელს პიენდუნგში ჩაუგონებია

---

ში (ცხენოსანი), ომში ჩაიშალვარებდნენ —შალვარში ჩაჯდებოდნენ, ესე იგი ახალუხს შალვრის სათავეში ჩაიტანდნენ, ჩოხის კალთებს გადიკეცდნენ, წვერებს ან საჯიბეებში ამოიტანდნენ, ან სარტყელში გაიმაგრებდნენ 35) პერანგზედ ან გულ ამოჭრილი, როგორც ძველად, ახალუხი სამი ღილით შესაკრავი, ან ყელამდისინ ყაითნის გამოკრული ღილებით შეკრული ისე, რომ პერანგის თავი და ყელი ჩენილ იყვნენ, სახლები იღლია ამოჭრილი ხიშტავიანი, იღლიაში განიერი, ხოლოდ მაჯებზედ მოჭერილი, ქართულ ყაითნის ღილებით შესაკრავი, ყოშებიანი, ნაოჭ ასხმული, ყალამქრისა, ლარისა, ატლას-ბაფთისა, ქიჭნაურისა, ხავერდისა, ბამბისა. პერანგ და გულ ამოჭრილ ახალუხ შუა, როგორც ძველად, უმოკლეს ახალუხისა, უსახელო, უბეჭებო საგულე-დოშლუყი, სიცივის დროს დაბამბულ დალიან დაგებული, კვლავ უბამბო, სარჩულიანი, მარჯვნივ მხარეს საკინძით შესაკვრელი (ოქრო-ვერცხლ, მინანქრის, ოქრომკედ აბრეშუმის ღილით), გარს სხვადა-სხვა სიფართოს ზარ, ოქრომკედ აბრეშუმ ზორან მოვლებული (დოშლუყიც, ახალუხიც). ახალუხზედ უგრძელესი მისი ნაოჭ ასხმული, ჩაქიანი, მოკლე, ცოტად ნიდაყვზედ უგრძელესი, ვიწრო სახლებიანი\ქუდაჯა ზარბაბისა, ოქსინოსი, ლარისა, ხავერდის, ქირმანი შალისა, მაუდისა, ისე შალისა, ზამთარ ბეწვ, უიმისოდ აბრეშუმ ან სხვა ქსოვილ სარჩულიანი, ზარბაფთა ბეწვი სახლებზედ და გარს მოვლებული, შიგნით ნაოჭზედ, სიმაგრისთვის, შესაკვრელად, აბრეშუმის ჩაფარიშ მოკერებული, გარედან სამი ყაითნის ღილით შესაკვრელი, გულის ორთავ მხარეს ორ-სამ ადგილას, გულის შესაკრავად, დამაგრებული გოზრები 36) ცალ წვერ სამ ტოტიანი, ოქრომკედის ფუნჯებიანი, სხვილი ზორანი. ბეწვს უდებდნენ სარჩულად სამურისას (ხარსადიდი), კვერნისას, მელისას, არშია ამ გვარ ბეწვისავე,—დღეს-კი არშიათ ბუხრის ბატკნის ტყავსაც უვლებენ. უჩოხოთ ქულაჯას იცვამდნენ ცხენზედ, ბრძოლის ჯირითის თამაშის დროს, გზაში. ამ შემთხვევაში სასწრაფო—საპირის წამლეე ჯვარედინათ გადიკიდებდნენ მხრებზედ. სასწრაფო—საპირის წამლე ეკიდათ აშურმებზედ; აშურმა იყო სირმისა, აბრეშუმის —ჩაფარიშისა, სიქაში მოქნილი თასმისა (ირმის, შველის გამოქნილ ტყავისაგან ამოჭრილისა), ვერცხლ-ოქროს ღილებით მორთული, წელში ჰქონდათ სარტყელ ქამარში უკან გარჭობილი დამბაჩა, ზორან მობმული, მხარზედ გადაგდებული ჰქონდათ თოფი. ხანჯალი ეკიდათ ქამარზედ და ზედ ქამარზედ ეკრათ ქართული ხმალი (ვადიანი37), დაკიდებულ პირველ ან დაწნულ აბრეშუმის სხვილ ზონარზედ 37), ან თასმის (შველისა ირმის ტყავის) ყაწიმებიან ქამარზედ. ამ გვარ ყაწიწებიან ქამარზედ ღილები არ ესხა,—იკვრებოდა ბალთით 38), რომელიც იყო ან ოქრო-ვერცხლისა, ან ოქრო-ჩუქურთმიან სევადიანი რკინისა,—დღეს ხმალი და ხანჯალი ერთ ქამარზედ არიან დაკიდულნ-გაკეთებულნი. ხმალი წელზედ ეკრათ, —მხარზედ არ გადიკიდებდნენ. ცხენოსანს უნაგირის ტახტაზედ გადაკიდებული ჰქონდა ოქრომკედით ანუ აბრეშუმით ნაკერი შალითები წყვილ დამბაჩებით, ყარაბინებით. ქულაჯაზედ ანუ ისე ახალუხზედ ნავოჭ ასხმული ჩოხა, 80 წლებამდისინ წარსულ საუკუნოისა მუხლის თავებზედ სამი-ოთხი თითის დადება უგრძელესი, ჩაქებიანი, სახლებ-იღლიიდგან მაჯამდისინ გაჭრილი, ყოშებიანი, წელამდინ და სახლებ სარჩულიანი, სიმაგრისთვის შიგნიდგან, როგორც სახლები იღლიებში, ეგრეთვე ნაოჭი ჩაფარიშ მოკერებული (ამ ჩაფარიშითვე შიგნიდგან იკვრებოდა ჩოხა), შიგნიდგან კისრიდგან წელამდისინ ქობა მოვლებული. პირველ ქობა ზარბაბისა იყო, ჩვენ დროს სხვა და-სხვაფერ ხავერდისა, გარედგან გარეშე საყელოსი, ორთავ მხარეს გულისა წელამდისინ მოვლებული ბაფთი ზარბაბისა, ქირმან, რიზა შალის არშიისა, ან განიერი ჩაფარიშ-ოქრომკედ ნაკერი, ანუ სადა, როგორც დღეს ხევსურთ ჩოხაზეა მოვლებული. (ხევსურთ ჩოხა უფრო მოკლეა, გულზედ, სახლებზედ სხვა-და-სხვა ქსოვილის ნაჭრებისაგან გამოჭრილი ჯვრებ დაკერებულია, გარეშე ჩოხასა, სახლებისა ზარი (წმინდა ოქრომკედის ბუზმენტი) სხვა-და-სხვა სიგანისა, ჩვენ დროს ჩოხას ავლებდნენ ან წვრილ ოქრომკედის, ან აბრეშუმის ზორანს. ჩოხას იცვამდნენ შალისას, მაუდისას, იმერეთში ხავერდისაც (კალთების კუნჭულები და გული ხავერდის ჩოხისა ოქრომკედით იყო ნაკერი. მე თვით ვარ ამის მნახავი) ჩოხა იკვრებოდა წელზედ ანუ სამი ღილით, ან სულ მთლად ყელამდისინ. უკანასკნელ შემთხვევაში, ხელები ჩოხის მაჯებში გაყოფილი ჰქონდათ-დათ. ჩოხა რომ კარგად დასდგომოდა, უკან წელ ქვეით პატარა ბალიშს ატანდნენ. ცხენოსანი, სახლებს რო არ ეფრიალა, მხრებზედ გადიგდემდა და უკან იკრავდა, ან ხელებს მაჯებზედ დახვეულ მაგრა იკრავდა. ორთავ მხარეს გულისა დაკერებული სასწრაფო (ჩანთა მასრებისა) —ტყვია-ბარუთით. (თოფის წამალი),— თითო ქილაში თითო სროლა ბარუთი და ერთი ტყვია. ქილა რომ არ ამოვარდნილიყო ჩანთიდგან და არ დაკარგულიყო, გრძელი ძეწკვით დამაგრებული იყო მხარზედ.

ნ. ი. ალექსიევი-მესხიევი.

36) ამ გვარივე ჩაშალვარება, ჩოხის კალთების აკრეფვა იცოდნენ „სეჩაში“ ყაზახებმა, პოლშელებმა. ერთობ ძველ პოლშელთ კაცთა შერმოსელი,—გარეგანი შეხედულობა ძრიელ მიემგზავსებოდა ჩვენ ჩაცმულობას. მათი სარტყელ-ფოჩიანი კონტუში—ჩვენივე კაბაა, წაღები, ხრმალი, ულვაშის დაყენება, იმის კისერზედ და შუბლზედ აპარსვა,—ქოჩრის (чубъ) შერჩენა—ნამდვილი ჩვენია!

37) ესე იგი ჯვარედინ ტარიანი. ჩერქეზულ ხრმალს არა აქვს „ვადა“, არ არის ჯვარ-ტარიანი,—ამით განირჩევის იგი ქართულისაგან.

38) ამ გოზრებს ჩვენი ქალები შინ ქსოვდნენ და ეძახოდნენ „ბატის ფეხებს“.

39) ესრედ მეც ვირტყამდი ხრმალს.

40) ქამრის ხრმლის შესაკრავი ფართო აბზინდა.

ავტ.

---

*) ვბეჭდავთ ამ საინტერესო კორესპონდენციას ენისა და საგრამატიკო ფორმების შეუცვლელად.

რედ.

კორეის როტისათვის, რუსები არ გაუშვათო.

**ფრეიბურგი**. ნაშუდღევის 2 საათსა და და 23 წ. მთელ კანტონში მიწა იძრა.

**ბომბეი**. შავი ჭირი მძვირვარებს მთელს ინდოეთში. ერთის კვირის განმავლობაში ჭირმა იმსხვერპლა 40,527 ადამიანი. ყველაზედ მეტი კვდება პენჯაბში და ცენტრალურ პროვინციებში.

**სტამბოლი**. პორტამ აცნობა სახელმწიფოთა ელჩებს, რომ ბულგარიის ორი ჯუფთი საზღვარს გადავიდა, დაეცა სოფლებს და ავაზაკობა ჩაიდინაო.

**პეტერბურგი**. დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა მისის უდიდებულესობის სახელზედ, 16 მარტს: «უქვეშევრდომელესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას ეს-ეს არის ეხლა მიღებულს მოხსენებას გენერალის მიშჩენკოსას, რომელიც გამოუგზავნია 15 მარტს, საღამოს 10 საათზედ: ნაშუადღევის 3 საათზედ პატარ-პატარა ცხენოსანთა რაზმები იწვევდა ჩონჯუსკენ იაპონიის კავალერიას საომრად, მაგრამ იმათი რაზმები, როცა-კი ჩვენებს შეხვდებოდნენ, მაშინვე უკუ იქცეოდნენ და მიდიოდნენ ჩონჯუს იქით. რაკი გავიგე, რომ 4 ესკადრონი იაპონელებისა სდგას ჩონ-ჯუს იქით, 5 ვერსის მანძილზედ, 14 მარტს გავემართე ნოოსაკისკენ, ხოლო 15 მარტს დილის ათ ნახევარ საათზედ 6 ასეულით მივუახლოვდი ჩონჯუს. როგორც-კი მოვიდნენ ჩვენნი მზვერავნი ქალაქს მტერმა დაიწყო სროლა ზღუდეთაგან. სასწრაფოდ შევაჯგუფეთ ორი ასეული და დავიჭირეთ მაღლობი, ქალაქზედ ფრიად ახლო მდებარე. 600 ნაბიჯი-ღა იყო ჩვენსა და იაპონელებს შორის. დაიწყო ბრძოლა. ქალაქში ჩასაფრებული იყო ერთ როტამდე ქვეითა ჯარი და ესკადრონი. ჩვენს ასეულებს მივუმატეთ კიდევ სამი ასეული. დაუწყეს ჩვენებმა ყოველ მხრივ სროლა თოფებისა. თუმცა ასე იყო საქმე და მოხერხებული ადგილიც გვეჭირა, იაპონელები მედგრად იდგნენ და იბრძოდნენ. მხოლოდ შემდეგ გამძვინვარებულის ომისა, რომელმაც ნახევარ საათს გასტანა, შესწყდა მათის მხრივ თოფის სროლა. იაპონელები ამოეფარნენ კედლებს და ორგან გამოჰფინეს დროშები წითელის ჯვრისა. მალე კასანის გზაზედ გამოჩნდა სამი ესკადრონი, რომელნიც ცხენების ჭენებით მოჰქროდნენ კასანის მხრიდან ქალაქისაკენ. ორმა ესკადრონმა მოასწრო და შევარდა ქალაქში, ხოლო მესამემ, ჩვენების თოფის სროლით გზა-დაბნეულმა, უკან დაიხია. სჩანდა, როგორ სცვიოდნენ ძირს მხედარნი და ცხენები. ამას შემდეგ კიდევ მთელ ერთს საათს ჩვენი ასეულნი ჰხოცდნენ იაპონელებს ქალაქში და არ აძლევდნენ ღონისძიებას ქუჩებისთვის თავი დაეღწიათ, სამალავებიდგან გამოსულიყვნენ და თოფის სროლა აეტეხნათ. საათ-ნახევარს შემდეგ, ომის დაწყების მერე, კასანის გზაზედ გამოჩნდა ოთხი როტა, რომელიც თითქმის სირბილით მოდიოდა ჩვენსკენ. მაშინათვე ვუბრძანე, მოეყვანათ ცხენები და ყველა ასეულნი, რომელთაც იფარავ და ერთი ასეული; სროლის წესიერებით ფეხ-აუჩქარებლივ გაემართნენ ხევ-ხევ ქედივით დაწყობილნი სალაშქრო რაზმად, წინ მიჰყავდათ დაჭრილნი. ძლეულმა ესკადრონებმა, ცხადია, ველარ მოახერხეს მალე დაეჭირათ ჩვენ მიერ მიტოვებული მაღლობი, ხოლო მტრის ქვეითა ჯარმა დაიგვიანა; ის რაზმი, რომელსაც უკან მცველნი მოსდევდნენ, მშვიდობით მოვიდა კუაკსანამდე, სადაც დაისვენა ორს საათს და ჭრილობა შეუხვია დაჭრილთა, ხოლო საღამოს 9 საათზედ უკვე ნოოსანს იყო. ვგონებ, რომ იაპონელებს შესამჩნევი ზარალი მოუვიდათ და საკმაოდ დაეხოცათ ხალხიცა და ცხენებიც, ხოლო, სამწუხაროდ, ჩვენ დაგვიჭრეს მძიმედ სამი ოფიცერი—შტაბს-კაპიტანი სტეფანოვი და პორუჩიკი ანდრეენკო გულში, ხოლო კორნეტი ბაზილევიჩი მუცელში; მძიმედ არის დაჭრილი ასის თავი შილნიკოვი ხელში და ბეჭქვემოდ, თუმცა ისევ დარჩა სამსახურში. ყაზახთაგან სამი იქმნა მოკლული და 12 დაიჭრა. მათ შორის ხუთი მძიმედ არის დაჭრილი». გენერალი მიშჩენკო ჰმოწმობს, რომ ჩინებულად იქცეოდნენ ომში ოფიცრები და ყაზახნი, მეტადრე მესამე ასეული არღუნის პოლკისა, რომელსაც უფროსობდა პოდ-ესაული კრასნოსტანოვი. ჰმოწმობს აგრედვე, რომ დაჭრილმა ოფიცრებმა შესანიშნავი მამაცობა გამოიჩინესო.

**ლონდონი**. ინდოეთის საქმეთა სტატს-სეკრეტარმა მოახსენა საზოგადოებათა პალატას, რომ თიბეთის ექსპედიციას განზრახვა აქვს გაემართოს კალუცზოს, რომელიც 200 მილის მანძილზეა ლხასიდან. პოლკოვნიკი იონგხეზბანდი მიჰმართავს იარაღს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წინაამდეგობას გაუწევენ, ანუ თუ საშიში იქნება მისი მიწერ-მოწერა.

**ბერლინი**. (სპეციალური). ლონდონში ხმაა გავრცელებული, რომ ვლადივოსტოკის ესკადრა, ხანგრძლივის სროლის შემდეგ, დაბრუნდა ნავთსადგურში; თან მიიყვანა რამდენიმე იაპონელთა სავაჭრო გემი ტყვედ, და ერთი სამხედრო კი დაღუპაო.

**ბერლინი**. (სპეციალური). როგორც ნიუჩუანიდან იტყობინებიან, იაპონელები ლიაოს ხეობაში 4 აპრილზედ ადრე არ გადმოიყვანენ ჯარს, რადგანაც იმათი სატრანსპორტო გემები ამ ჟამად კორეაში ჯარის გადაყვანას უნდებიანო; ამ ხანში კი რუსების ძალას ყოველ დღე მოემატებაო. პორტ-არტურიც ეხლა უფრო გამაგრებულია, ვიდრე ომის დასაწყისშიო.

**ბერლინი**. (სპეციალური). გაზეთი «ნაციონ. ლიბერალ კორესპონდენტი» ამტკიცებდა, რომ რამდენისამე დღის წინად რუსეთსა და გერმანიას შორის შეთანხმება მოხდა პურის ბაჟის შესახებაო; აქაურ საქმეთა კარგად მცოდნეებმა ამის შესახებ არაფერი იციან. როგორც ისმის, რუსეთთან მოლაპარაკების განგრძობა კიდევ დიდხანს გვალოდინებს.

**გაეტა**. იახტა «ჰოჰენცოლერნი» დილის 11 საათსა 30 წ. მოვიდა, საათის მეოთხედის შემდეგ მოვიდა ქვრივი დედოფალი მარგარიტა და გადავიდა ჯავშნიან გემს «უმბერტო»-ზე.

**გაეტა**. იმპერატორმა ვილჰელმმა ინახულა მისი უდიდებულესობა დედოფალი და შემდეგ გაცილა «ჰოჰენცოლერნზედ», სადაც გაიმართა სადილი დედოფლისა და მისის ამალის თანადასწრებით.

17 მარტი.

**პეტერბურგი**. დანიშნულ იქმნენ: ევერსმანი სამარის ვიცე გუბერნატორად, ხვოსტოვი - მინსკის ვიცე გუბერნატორად, ასტრახანის ვიცე გუბერნატორი სოხნოვსკი პერმის ვიცე-გუბერნატორად.

**ვლადივოსტოკი**. «აღმოსავლეთის მოამბე» იუწყება, რადგანაც ზღვის პირის ოლქში და მანჯურიაში სასტიკად ადევნებენ თვალ-ყურს იაპონელებსა, კორეის პრინცმა პაკმა, რომელიც თანაუგრძნობს იაპონელებს, გაგზავნა რამდენიმე კორეელი ჯაშუშებად და მზვერავებად; კორეელებსაც ძალიან ადევნებენ თვალყურსა.

**მუკდენი**. (საკუთარის კორესპ.)- დილით, 15 მარტს იაპონელებთან შებრძოლება მოხდა. გენერალ მისჩენკოს რაზმი ექვსის ასეულისაგან (ექვსი სოტნა) ქალაქ ჩონჩჯუსაკენ წავიდა, იქ აღმოჩნდნენ როტა და ესკადრონი იაპონელთა. ყაზახები დაეჩქარნენ და იძულებულ ჰყვეს იაპონელნი საფრებს ამოჰფარებოდნენ. ჩონჩჯუში მისაშველებლად აჩქარებით მიდიოდა იაპონელთა სამი ესკადრონი, რომელთაც ყაზახებმა ტყვია დააყარეს; ერთი ესკადრონი გაფანტეს და არევ-დარევით გაიქცნენ; ორი კი ქალაქში შეცვივდნენ. ყაზახებმა ქალაქის გამოსავალი შეჰკრეს და ერთის საათის განმავლობაში განუწყვეტლივ ესროდნენ. როცა ოთხი როტა ქვეითა ჯარისა დაეახლოვდათ, ყაზახები წყნარად დაბრუნდნენ, იაპონელებს დიდი ზარალი მოუვიდათ. ჩვენი ოთხი აფიცერია დაჭრილი და 12 ყაზახი, სამი ყაზახია მოკლული.

**ტიან-ძინი**. («რეიტ. სააგენტო»). რუსეთის სამხედრო აგენტმა სთქვა, ორისამი თვის ადრე ძლიერი ბრძოლა არ მოხდებაო, აგრეთვე ძალიან საეჭვოა, რომ იაპონელებმა განიზრახონ ნიუჩუანში ჯარის გადასხმაო.

**ტოკიო**. («რეიტ. სააგენტო»). ადმირალმა იამამოტომ წაიკითხა პარლამენტში ადმირალ ტოგოს მოხსენება პორტ-არტურზე მეექვსე თავ-დასხმის შესახებ. ამ მოხსენებამ დიდი აღტაცება გამოიწვია. მოიხსენია-რა გმირული სიკვდილი კაპიტან ხირესისა, იამამოტომ აღნიშნა, პორტ-არტურის ჩაკეტვა ძალიან ძნელია და ამისი განხორციელება ჯერ-ჯერობით შეუძლებელიაო. ადმირალ მაკაროვის მოსვლის შემდეგ პორტ არტურში მხედრობა განცხოველდა. ტოგოს იმედი აქვს, რომ რუსები ნავთსადგურს დასტოვებენ და იაპონიის ფლოტს თავს დაესხმიან. პალატამ ერთხმად მიიღო წინადადება, რომ მთავრობამ ახალი ძალა მოიკრიბოს დაწყობილის საქმის განსაგრძობად. ფლოტს მადლობა გამოეცხადა. დადგენილებაში მოხსენებულია, არავითარმა ხარჯმა არ უნდა შეგვაკლოს და ომი უნდა განვაგრძოთო.

**კობე**. («რეიტერის სააგენტო». ადმირალ ტოგოს მოხსენებაში წარსულ კვირას მომხდარ ბრძოლის შესახებ, ნათქვამია, ჩვენი განზრახვა, რომ ნავთსადგურის შესავალი ჩაგვეხერგა, შევასრულეთ. თუმცა რუსებმა სეტყვასავით დაგვაყარეს ყუმბარებიო. ადმირალი ტოგო მაინც მწუხარებით დასძენს, რომ ჩაძირულ იაპონიის გემთა შუა იმდენად განიერი ხანი დარჩა, რომ რუსის სამხედრო გემებს თავისუფლად შეუძლიანთ გავლაო.

— გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა მის იმპერატორებით უდიდებულესობის სახელზე, 17 მარტს გამოგზავნილი: «უქვეშევრდომელესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას, გენერალ მიშჩენკო იუწყება 16 მარტიდან, რომ, როგორც ჩონჩჯუს მცხოვრებნი ამბობენო, 15 მარტს ბრძოლის დროს იაპონელების მხრივ მოკლულია 40 კაცი და ასი დაჭრილი ანჩჯუს გაუგზავნიათ, რომლებიც ხუთას კაცს — კორეელს წაუყვანიათ საკაცეებით; დიდი ზარალი მოსვლიათ ცხენებსაც. 16 მარტს, დილით გარდაიცვალა 15 მარტს ჩონჩჯუსთან ბრძოლის დროს დაჭრილი შტაბს-კაპიტანი სტეფანოვი».

**ლონდონი**. («რეიტერის სააგენტო»). როგორც ტუნიდგან (თიბეთში) იტყობინებიან, იქ მისულა დღეს ინგლისის თიბეთის ექსპედიციის მსწრაფლი კოლონა.

**რომი**. როგორც გაზეთი „ოსსერვატორე რომანო» იუწყება, ის ამბავი, ვითომ საფრანგეთის მთავრობა პაპის მიერ კარდინალებისადმი მიმართულს სიტყვას პროტესტი გამოუცხადაო, ტყუილია; სტატს-სეკრეტარს არ მიუღია ამისთანა ამბავი.

**გაეტა**. სადილს შემდეგ იმპერატორმა ვილჰელმმა დედოფალი — დედა ნაპირამდე მიაცილა. დედოფალი რომს დაბრუნდა. იმპერატორი დარჩა იახტაზე. დილით ადრე მესსინას წავა.

**რომი**. ამ ორი კვირის წინად ერთმა კარდინალმა მიიღო ცნობა სამხრეთ აფრიკაში შეთქმულობააო პაპის წინააღმდეგ, მისი მოკვლა უნდათო. კარდინალმა შეატყობინა პაპს და იტალიის პოლიციას. მთავრობამ საჭირო ღონისძიებანი მიიღო.

**ლონდონი**. («რეიტერის სააგენტო»). შინაგან საქმეთა სტატს-სეკრეტარმა საზოგადოებათა პალატაში კანონ-პროექტი წარადგინა უცხოელთა გადასახლების შესახებ, ზოგიერთებს აეკრძალოთ ინგლისის მიწა-წყალზე გადასვლა. კანონ-პროექტი პირველ წაკითხვის შემდეგ მიღებულ იქმნა.

---

დროებითი რედაქტორი **გრ. ყიფშიძე**.
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი**.

---

**პეტერბურგის ბირჟა**

16 მარტი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,90 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,65 |
| ბერლინში „ | 43,30 |
| პარიჟში „ | 37,62 1/2 |
| ბირჟის დისკონტი | 6—7 1/2 % |
| 4% სახელმწიფო რენტა | 93 1/8 ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა | 91 3/8 ნის. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 369 1/2 ნ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 311 ნ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 269 1/2 ნის. გ.-ყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | 87 1/2 წვ. გაყ. |
| 4 1/2 % ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4 1/2 % ტფილ. საადგ. მ.-მ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | 88 1/8 ნის. გაყ. |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | 88 წვრ. გაყ. |

---

**რკინის გზის მიმოსვლა.**

15 ოქტომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

**ბათომს**: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 7 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

**ბაქოს**: 1) შუადღი ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

**ყარს-ერევანს**: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2. საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

**ტფილის-ბაქოსაკენ**: 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

**ტფილის-ბათომისაკენ**: 1) შუადღის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 18 წ. (მხოლოდ პარასკევობით); დილის 4 ს 4) 48 წ.

დ) ქუთაისიდან:

**ბათომისაკენ**: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

**ტფილის-ბაქოსაკენ**: ღამის 3 ს. 58 3 წ

ე) შორაპნიდან:

**ჭიათურა-დარკვეთისაკენ**: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

**შორაპნისაკენ**: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

---

# განცხადებანი


ხალხი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 16 ფ.

ფასი 30 კაპ.

---

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. ბ. თოფურ ას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის მიხეილ ალექსანდრეს ძის ... ქუჩაზე, ფოსტის შენობის პირდაპირ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა სმისა და მკურნალობისათვის 1 მანეთიდან 3 მანეთამდე.

---







**მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი**

**„ოდონბრინი“ მ. კ. ლეპელდეკის“**

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში — საფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

---

ს.-პეტერბურგის კომპანია

„ნადეჟდა“

ღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

და არსებულია 1847 წელს

| | |
|---|---|
| მარაგთადა თანხა | 1.650.000 მან. |
| სათადარიგო თანხა | 2.664.808 მან. |

დ ა ზ ღ ვ ე ვ ი ს ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით და არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბირჟებისა ვაგონებისა და ვაგონ ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს. პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი ნოვგოროდში

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6.—26)

---

მ ს წ რ ა ფ ლ მ ბ ე ჭ დ ა ვ ი

სტამბა

ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემენარიის სახლებში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფასი ყველასთვის ხელმისაწდომია.